ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 8 ივნისი № 1488

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.
ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—2)

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქმ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.

ეტიუდები თ. ხუსკივაძისა იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили. (10—1)

ტფილისის კერძო
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა უქმეების გარდა,
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—9—10 ს.
ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.
ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.
ა. ნ. მატილოვი—თვალისა 11—12 ს.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.
მ. გ. ფედოროვი შინაგანი და საბავშვო—1 საათ. 2-მდე.
ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათამდე.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.
ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.
გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 ივნისა.

პეტერბურგი. უმართებულესი სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტმა უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი სამსახურ თავ-დანებებულის შტაბს-კაპიტანის გეკკერისა, რომელსაც პეტერბურგის ოლქის სასამართლომ თვალის ექიმის დონბერგის მოკვლისათვის გამასწორებელ რაზმში სამი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

პარიზი. დიდის მთავრინას ანასტასია ნიკოლოოზის ასულის დაბადებას სიხარულით შეეგებნენ არა მარტო რუსეთის ახალ შენი, არამედ მთლად საფრანგეთის მცხოვრებნი. გაზეთებმა თანაგრძნობის წერილები დასტამბეს. “ფიგარო“ ამბობს: „საფრანგეთი უერთდება ყოველსავე გრძნობას რუსეთის სახელმწიფო გვარეულობისას და რუსეთის ხალხისას; ახლად დაბადებულის მშობლებს უსურვებს ბედნიერებას და ხანგრძლივს ბედნიერებას.

რუსეთის ელჩის თაოსნობით საელჩოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება სამადლობელი პარაკლისი.

პეკინი. უცხოელ ელჩთა კრებაზე განხილულ იქმნა ჩინელთა თხოვნა იმის შესახებ, რომ სამი-ათას ჩინელ ჯარის-კაცს ნება მისცენ პეკინში შესვლისა. ამ თხოვნის დაკმაყოფილება უხერხულად იქმნა ცნობილი იმ დრომდე, ვიდრე უცხოელი ჯარები, გარდა საელჩოს დარაჯთა რაზმისა, აგვისტოს გასულს პეკინში არ წავლენ. ამასთანავე ელჩებმა დაადგინეს, უცხოელ ჯარებმა იდარაჯონ ქალაქის აღკრძალულ ნაწილში, ვიდრე პეკინში ჩინეთის ჯარი არ მივა.

კუქსგაფენი. გუშინ, გემების გაჯიბრების გათავების შემდეგ, ორთქლით-მავალ გემ „პრინცეზინ ვიქტორია ლუიზა“-ზე, რომელიც ჰამბურგელ-ამერიკელ ამხანაგობას ეკუთვნის, გამართულ იქმნა სადილი, რომელსაც დაესწრო იმპერატორი და პრინცი ჰენრიხი. მეკენბურგის ქალაქის თავის სიტყვის საპასუხოდ, რომელიც ორატორმა დააბოლოვა იმპერატორისადმი მიძღვნილი „ვაშა“-თი, იმპერატორმა ვილჰელმმა წარმოსთქვა: „ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ ალაგი მზეზე; ეხლა ჩემი მოვალეობაა შევინარჩუნოთ ეს ალაგი. ჩვენი მომავალი ზღვაზედ ძლიერების მოპოვებაა. ჩვენ გავჩნდით იქ, სადაც ოდესღაც განზას უნდა მოესპო თვის არსებობა იმიტომ, რომ მოაკლდა გამაცოცხლებელი და მფარველი ძალა იმპერიისა. ჩინეთის ამბები მარწმუნებენ, რომ ევროპაში მშვიდობიანობა დიდი ხნით უზრუნველ-ყოფილია იმიტომ, რომ კერძო რაზმების მამაცობას ყველა ერები ერთნაირად აფასებდნენ, რაც დამამტკიცებელია ურთიერთ შორის მეგობრულის გრძნობების და პატივისცემის დამყარებისა და ეს ხელის შემწყობია მშვიდობიანობისა. მშვიდობიანობა კი, მე იმედი მაქვს, განზის კავშირის ქალაქებს ააყვავებს და განავითარებს. ახალი განზა გაიკეთებს გზებს, მოიპოვებს ახალს ბაზრებს“. ბოლოს იმპერატორმა რუსეთის ზღვაოსნებსაც მოუსურვა ისეთივე განვითარება, როგორიც განზის კავშირს.

ბერნი. შემდეგი საერთაშორისო კონგრესი წითელი ჯვრის საზოგადოებისა შესდგება 1902 წლის მაისში პეტერბურგში.

მადრიდი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, არ არსებობს არავითარი ნოტა მოთხოვნათა, რომელთაც შეეძლოთ ავნონ რამე ინგლისის და ესპანიის შორის ურთიერთობასო.

პარიზი. იტყობინებიან, რომ რუსის პოლკოვნიკმა პილსუდსკიმ მოახერხა და უმავთულოდ გაგზავნა დეპეშაო. პოლკოვნიკს მიწის ნიადაგის საშუალებით გაუგზავნია ეს დეპეშა. მცირე ძალა, რომელიც ჰაერში მხოლოდ 50 მილის მანძილზე მოქმდეობს, მიწის ნიადაგზე 550 მეტრის მანძილზე მოქმედებდა.

ვაშინგტონი. სტატს-სეკრეტარმა გეჯმა განკარგულება მოახდინა, რომ იტალიის შაქარს მეტი ბაჟი დაედოს, რადგანაც, ცხადია, რომ იტალიის კანონების თანახმად, გარეთ გატანილ შაქარში პრემიას აძლევენ.

რუსეთის ელჩმა შეატყობინა სტატს-სეკრეტარს გეის, რომ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რათა ამერიკიდან მოტანილ ფისის ნაწარმოებს და ველოსიპედებს მომატებული ბაჟი გამოერთვას.

ქერჩი. 4 ივნისს, პურის ყანების მკას შეუდგნენ. ასე ადრე არასოდეს არ დაუწყიათ მკა. წრეულს, მაისის გასულს, პური უცებ გაყვითლდა. ცხადია, რომ ყანები გვალვისაგან დაიწვა. კაი მოსავლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდება.

გროდნო. 29 მაისს, პრუჟანის მაზრაში საშინელი ელვა-ქუხილი ასტყდა და დიდი წვიმა მოვიდა. ელვა-ქუხილმა 7 საათი გასტანა 130 ოთხ-კუთხი ვერსტის სივრცეზე. მეხმა 4 კაცი მოკლა და 4 სული საქონელი; 11 ადგილას ცეცხლი გააჩინა. ზარალი ცეცხლისაგან 3,383 მანეთამდე ადის.

პეტერბურგი. 6 ივნისს, ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის მშვიდობიანად განთავისუფლებისა და დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოოზის ასულის დაბადების გამო, მრავალ ეკლესიაში და სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში სამადლობელი პარაკლისები გადაიხადეს. ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. 30 მაისს, ბალფურმა დეპუტატთა პალატაში წინადადება შეიტანა, რომ მთელი სესსიის დროს, სამშაბათობით და პარასკევობით, მხოლოდ მთავრობის კანონ-პროექტები და წინადადებანი ირჩეოდესო. მცირე კამათის შემდეგ, ეს წინადადება 33 ხმის უმეტესობით

ფელეტონი

ქართული მუსიკა.

პირველ წერილში*) ჩვენ, შეძლებისა დაგვარად, განვიხილეთ ბ. კლენოვსკის კონცერტი. ეხლა ბ. ქორიძის მიერ გამართულ კონცერტის პირუთვნელი განხილვა მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ საზოგადოებას ფრიად ეინტერესებოდა ამ კონცერტის მოსმენა; მსმენელთა შორის კიდევაც გამოიწვია ამ უკანასკნელმა დაუსრულებელი აურ-ზაურიანი მსჯელობა, დაწყებული ყოველ ქართულისადმი უზრუნველი თაყვანის ცემიდან, ვიდრე პედანტიურ წვრილმანი მიზეზების ძებნამდე, რომელთაც, ვგონებ, საქმის ხელოვნებითი მხარესთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონიათ.

კონცერტის პროგრამმა შესდგებოდა ბ. ქორიძის მიერ გადაღებულ ქართული სიმღერებისაგან, რომელთა შორის ერივნენ იმისთანა ზოდი და მარგალიტი ძვირფასის ლითონისა, რომელთაც ერთხელ კიდევ გარდაგვიშალეს თვალ-წინ ჩვენი ხალხის მუდამ-ჟამს მჩქეფარე სიცოცხლე. პირადად ჩვენთვის ამ სიმღერების გაგონება მოსაგონრად დარჩება, როგორც გამამხნევებელი იმედისა და მანუგეშებელნი ამ ჩვენ გათახსირებულ ცხოვრებაში.

დასაბამიდანვე შეურყეველ აზრებით უნდა იყვეს გამსჭვალული იმ ხალხის არსება, რომელმაც თავის გულის სიმებზე ამ სიმღერების ჰანგი ააწყო და ჩვენ სანუგეშოდ გამოაჟღერა.

ამ კონცერტზედ აღსრულებულ სიმღერათა შორის უფრო საყურადღებო იყო „ცხენოსნური“ კილო, რომლის განსაკუთრებული თვისება არ შეიძლება არ აღვნიშნოთ.

მაშინ, როდესაც პირველ ორ ხმას თავის ჩქარი მიხვრა-მოხვრით რაღაც უცნაური ქსოვილი გამოჰყავთ, ამ დროს ბანი ნელის ნაბიჯით ირჯება, თითქოს ყოველი მისი წინ სვლა გამოზომილია წუთებითაო. ამასთანავე, მთლად ბანის თქმა სასიმღერო მელოდიას წარმოადგენს და არ ეტყობა ის უშნო და ულაზათო ერთფეროვნება, როგორსაც ვხედავთ საზოგადოთ ჩვენს საერო სიმღერების ბანის თქმაში.

ყველა ეს ამ ზემოხსენებული სიმღერის თვისებები გმირულ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზედ.

როგორც ისტორია გვამცნევს, ქართველთა ტომი მეომარი ხალხი ყოფილა და შეგვიძლიან ვთქვათ, რომ—სამხედრო კილო ან არ უმღერიათ, ან და ჩვენამდის არ მოუღწევია ამ გარდმოცემას. იქნება მიგვითითონ ცნობილ „ქართველო ხელი ხმალს იკარ“-ის კილოზედ, მაგრამ, ეგრე რომ ვსთქვათ, ამ კილოსაგან გამოწვეული გრძნობა ცოტა მეომრულია, ვიდრე სიმღერა „ცხენოსნური“-თ. იქნება, ჩვენ რომ დაკარგულად გვეგონა, სწორედ ეს სიმღერა „ცხენოსნური“ იყოს სამხედრო.

რასაკვირველია, ამ ჩვენს აზრს ვერავის ვერ მოვახვევთ თავს, თუმცა კი უნდა მოგახსენოთ, რომ, ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ სიმღერის კილოს აღვიარებდით ქართულ მარსელიეზად.

სხვა სიმღერათა შორის უნდა აღვნიშნოთ „ფაცხა“, რომანსი (თუმცა ჯერ არ არის დაბეჭდილი), რომელიც ამ კონცერტში პირველად შეასრულა მომღერალმა ქალმა. ამ რომანსის მელოდია ადგილ-ადგილ გურული კრიმანჭულით არის შემკული და სასიამოვნო მოსასმენიც იქნებოდა, რომ მელოდიის სიცელქეს და კოპწიაობას ტლანქი და ზორზოხი აკომპანიმენტი არ უშლიდეს.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ბ. ქორიძე თავის რომანსების შემუშავებაში (ფორტეპიანოს მხრივ) შესამჩნევად კოჭლობს, რის წყალობითაც წარმატებაში ბევრს წააგებენ. ზემოხსენებულ რომანსს წარუმართებლობაში ხელს შეუწყობს თვით ფორმაც გარდმოცემისა; კილო მაღალ ფარდებშია დაწერილი, რის გამოც მისი ასრულება ბევრისათვის შეუძლებელი იქნება.

ხოროსაგან შესრულებულ სიმღერათა შორის არის იმისთანაც, რომელშიაც გამოიხატებოდა ჩვენი ხალხის ჩვეულება; ასეთი იყო მონადირული სიმღერა „შავი შაშვი“, რომელშიაც გამოისმოდა ძაღლის ყეფა.

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1452.

დამტკიცდა (144 წინააღმდეგ 111). უმცირესობას ლიბერალები და 58 ირლანდიელი ნაციონალისტი შეადგენდნენ, უმრავლესობას—კონსერვატორები და 6 ლიბერალი. ამ ნაირად, ლიბერალები რომ მთავრობას არ მიმხრობოდნენ და კენჭის ყრას ყველა ირლანდიელები დასწრებოდნენ, მთავრობა, შეიძლება, დამარცხებული იყო. საზოგადოდ, ბოლოს დროს მთავრობა მეტად მცირე უმეტესობით იმარჯვებს. კონსერვატიული გაზეთები ამ გარემოებას უბრალო შემთხვევას აწერენ, ხოლო ლიბერალური გაზეთები ამბობენ, რომ ეს იმ უკმაყოფილების ბრალია, რომელიც მთავრობის მომხრეებს შორის ჰსუფევს.

ავსტრ უნგრეთი. იმპერატორის ფრანც-იოსების პრაგაში წასვლა ამნაირადაა აწერილი გაზეთებში

«ბოჰემიის დედა-ქალაქის გზაზე სხვა და სხვა ქალაქებშიაც დიდის ამბით უხვდებოდნენ ფრანც-იოსებს. გმიუნდენში და ვიტინგაუში ბოჰემიის მეფის მოადგილე გრაფი კოუდენჰოვე მიეგება იმპერატორს, ხოლო ტაბორში და ბენეშოვში—ბოჰემიაში მყოფი ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი თავისი მეუღლით. მეტადრე საინტერესო იყო დახვედრა ტაბორში,—სამხრეთ ჩეხიის ისტორიულ ქალაქში, რომელიც ჰუსსიტების მოძრაობის დროს რადიკალ-პროტესტანტულ მიმართულების სათავედ ითვლებოდა; ამ ქალაქს ეხლაც დიდი სახელი აქვს და ჩეხიის ეროვნულ მოძრაობის უმთავრეს ფუძედ ითვლება. ქალაქში შესვლის დროს, ავსტრიის ოფიციალური ჰიმნის გარდა, ჩეხური ეროვნული ჰიმნი,—«სადაც ჩემი სამშობლოა»-ც—იგალობეს. იმპერატორი ვაგონიდან გავიდა და ჩეხურად ესაუბრა ადგილობრივი მოხელეების, სამღვდელოების და მებატონეების წარმომადგენლებს. იმპერატორმა აქვე ქალაქ ტაბორის წარმომადგენელი პარლამენტში, დეპუტატი მლადოჩეხი დანგიც შეჰნიშნა და მადლობა გამოუცხადა პარლამენტის ნაყოფიერ შრომაში მონაწილეობის მიღებისათვის. დანგმა უპასუხა: «ჩვენ ამას იქითაც დიდის ხალისით ვიმუშავებთ პარლამენტში, მაგრამ მხურვალედ გვსურს, რომ ჩეხიის ერმა მალე ის პოლიტიკური და ეროვნული უფლება მიიღოს, რომლებიც აქამდე მიცემული არა აქვს». იმპერატორმა შიუგო: «იქნება ეგეც მალე ასრულდეს». იმ სიტყვებს, რომლებიც იმპერატორმა და ქალაქის თავმა პრაგაში ერთმანეთს უთხრეს, ამ ნაირი მნიშვნელობა არა ჰქონია. იმპერატორის პრაგაში შესვლის ამბავი ამ ნაირადაა გადმოცემული გაზეთებში. შუადღის დროს ქუჩებში ხალხი ამოძრავდა. სხვა-და-სხვა საზოგადოებანი და ამხანაგობანი და მოსწავლე ახალგაზრდობა გზა-და-გზა გამწკრივდნენ. როცა იმპერატორი პრაგის ძველ ციხე-სიმაგრე—«გრადჩინაში»—მიდიოდა, ხალხი სათცარო აღტაცებით ეგებებოდა. გერმანული გაზეთები ფარულის შურით ამბობენ, რომ ჩეხები ნამდვილად გულწრფელად და აღტაცებით დაუხვდნენ იმპერატორსაო. ეს გაზეთები ამბობენ, რომ ქალაქის ბრბო, რომელსაც სოფლის ხალხიც მიემატა, ხანდახან «სტიქიურ გატაცებას» იჩენდაო და ყველას სურვილი ეტყობოდა, რომ იმპერატორისათვის აღფრთოვანებული სიყვარული და პატივისცემა გამოეცხადებინაო. ისმოდა აღფრთოვანებული ძახილი და მილოცვა, ხოლო ხალხი ეგებებოდა «ბოჰემიის მეფეს» და არა ავსტრიის იმპერატორს. ესევე გერმანული გაზეთები არწმუნებიან, რომ ყველგან, სადაც გერმანელთ კორპორაციები და საზოგადოებანი იდგნენ, ჩეხიის ერი ცდილობდა, რომ გერმანელთ მისასალმებელი ძახილი «ჰოხ»-ს საშინელი ყვირილით დაეფარა. გერმანელებსა და ჩეხებს დიდი შეტაკება მაინცა და მაინც არ მოჰსვლიათ. მხოლოდ ერთ ადგილას, სამკითხველოსა და გერმანელი სტუდენტების აუდიტორიის წინ ჩეხებმა მოითხოვეს, რომ გერმანელების მიერ გაშლილი ოქროთი მოვარაყებული შავ-წითელი დროშები ჩამოეღოთ. ხალხი ჰყვიროდა: «დაღუპეთ პრუსიის დროშები!» რამდენიმე კაცი კიბით მაღლა ავიდა და ზოგიერთი დროშა მოჰგლიჯა. ხალხს ძალიან მოეწონა ამათი საქციელი. მეფის მოადგილემ მაშინვე აღკრძალა სხვა სახელმწიფოების დროშების გამოფენა».

სხვა და სხვა მიმართულე ის გაზეთები სჯიან იმპერატორის პრაგაში მოგზაურობის შესახებ და ნაირ-ნაირად ერთს აზრს გამოსთქვამენ, რომ ავსტრიის მთელი მომავალი ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ გერმანელები და ჩეხები რანაირად შეუთანხმდებიან ერთმანერთსაო.

✿ ვენის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ, მაუტნერმა ამ დღეებში ავსტრიის ზედა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის ვაჭრობის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. უმთავრესი შიში ამ ვაჭრობას ამერიკის მხრით მოელის. თუ არ მოაწყობენ, რომ საქონელი ყველგან იაფად იგზავნებოდეს, შუა ევროპა გაისრისება ამერიკასთან ბრძოლაში; შუა ევროპა ეკონომიურად დაემორჩილება ამერიკას, რადგანაც ეს ახალგაზდა და საოცარის მხნეობით სავსე ერი ცდილობს, რომ მთელი ქვეყნიერობის ვაჭრობა ხელში ჩაიგდოს. ავსტრია უნდა ეშუროს, რომ თავისი არხები, რაც შეიძლება, მალე გაიყვანოს, რადგანაც ამერიკის მოცილეობა უფრო გაძლიერდება, როდესაც შეერთებული შტატების მთავრობა განზრახულ არხებს გაიყვანს ოკეანედან დიდ ტბებამდე; ეს ისეთი დიდი არხები იქნება, რომ ვეება საოკეანო გემებს შეეძლებათ სიარული. არხების კანონ-პროექტის კომისიის მომხსენებელი პრასკოვიცი სავსებით დაეთანხმა მაუტნერის აზრსა და ის აზრი გამოსთქვა, რომ, ადრე თუ გვიან, ევროპა იძულებული იქნება სავაჭრო სამრეწველო კავშირი გაჰმართოს მძლავრი ამერიკის წინააღმდეგაო.

გერმანია. გერმ. გაზ. «დეუჩე ინდუსტრი ცაიტუნგა» სარწმუნო წყაროდან იუწყება, რომ გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოებმა ამას წინად მომხდარი კრების დროს გადასწყვიტეს შემდეგი წინადადება მისცენ პარლამენტს: აწ არსებული ბაჟების ნაცვლად—ხორბლეულობაზე 3½ მარკა დაწესდეს, ჭვავზე—5 მარკა და პურზე—6 მარკა. სხვა გაზეთებიც არწმუნებიან, რომ ეს ცნობა მართალიაო, და დასძენენ, რომ შეიძლება პურსაც 5 მარკა ბაჟი დაედოსო, რადგანაც იმპერატორი და კანცლერიც ამ ჟამად ცუდად უყურებენ აგრარიებსაო. აგრარიებს, რასაკვირველია, არ მოსწონთ ასეთი ცნობა. «კრეუც-ცაიტუნგა»-ი აცხადებს, რომ ბაჟების ასეთი მცირე მომატება—5 მარკამდე—არავითარ გავლენას არ იქონიებს პურის ვაჭრობის საქმეზედაო. ასეთი მცირე მომატება თუნდ ყოფილა, თუნდ არაო.

საფრანგეთი. პარიზში ამ ჟამად ყველანი გაზ. «ფიგაროს» თავ-გადასავალზე ლაპარაკობენ მხოლოდ. როგორც დეპეშებიდან ვიცით, წარსულ სამშაბათს, ამ გაზეთის აქციონერთა საზოგადოებამ გადასწყვიტა რედაქტორები როდე და პერივიე დაითხოვოს. კრებას 300 კაცი დაესწრო; ამ წევრებს 20,000 აქციიდან 7000 აქცია ეკუთვნით. ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ პრესტამ მოხსენება წაიკითხა და ამტკიცებდა, რომ როდე და პერივიე უნიჭოები არიანო და ბევრ ბოროტ მოქმედებას აბრალებდა, სხვათა შორის, იმასაც კი აბრალებდა, რომ გაზეთის კუთვნილ ფულს თითონ იღებენ ჯიბეშიო. ამის შემდეგ მთელმა კრებამ (მხოლოდ ორი კაცი იყო წინააღმდეგი) დაადგინა როდე და პერივიე დაითხოვოს და იმათ ბადლად პრესტა დაინიშნოს დროებით რედაქტორად. საზოგადო კრების გადაწყვეტილების თანახმად, პრესტა 50 აქციონერით «ფიგარო»-ს რედაქციაში წავიდა. მოსამსახურეები არ უშვებდნენ, მაგრამ პრესტა და მისი თანამგზავრები ძალათ შეცვივდნენ სახლში. პერივიემ თავის კაბინეტში მიიღო პრესტა და გამოუცხადა, რომ საჩივარი შეიტანა საზოგადო კრების უკანონო განაჩენზე, რადგანაც ამ კრებას მხოლოდ აქციონერთა ერთი მესამედი ნაწილი დაესწროო. პერივიემ დასძინა, რომ სასამართლოს განაჩენს მოუცდის და მანამ კი ისევ რედაქტორად რჩება. პრესტა მუქარით ვეღარას გახდა. აქციონერები ეტაკნენ რედაქციის ტელეფონები, კასსა და სადგომი ხელში ჩაეგდოთ, ხოლო პრესტამ გადასწყვიტა მეორე დღეს უსათუოდ თავის რედაქციით გამოეცა «ფიგარო»-ს ნომერი, მაგრამ აქაც ვერას გახდა, რადგანაც სტამბის ზედამხედველმა გამოუცხადა, რომ მხოლოდ პერივიეს განკარგულებას შეასრულებს. მაშინ აქციონერთა უმეტესმა ნაწილმა მიატოვა რედაქცია; იქ მხოლოდ პრესტა დარჩა თავის მეგობრებით. ღამის 11 საათი იქნებოდა, როცა რედაქციაში მომრიგებელი მოსამართლე მოვიდა პოლიციელით და პერივიეს სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩააბარა. ამ განაჩენში ეწერა, რომ პერივიემ «ფიგარო»-ს რედაქციას თავი უნდა დაანებოს და თუ უარს იტყვის, მაშინ მომრიგებელმა მოსამართლემ რედაქციის სადგომი, თანამშრომლების ოთახები, შკაფები, სადაც ხელის მომწერთა სიები აწყვია,—ყველა ეს უნდა დაბეჭდოს. რადგანაც პერივიე რედაქციიდან არ წავიდა, მოსამართლემ რედაქცია დაბეჭდა, მაგრამ სტამბა დაუბეჭდავი დარჩა და მეორე დღეს გაზეთი ისევ წინანდებურად პერივიეს რედაქტორობით გამოვიდა. ამ ნომერში მოწინავე წერილი იყო დაბეჭდილი სათაურით «ბოროტ-განზრახვა». ამ წერილში პერივიე პროტესტს გამოსთქვამდა პრესტას ძალმომრეობის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ «კონსერვატიულ პროგრამმას ბოლომდე არ უღალატებს და ყველთვის წინააღმდეგი იქნება, რომ გაზეთი ბირჟასა, სპეკულანტებს და კოსმოპოლიტურ სინდიკატებს ჩაუვარდეს ხელში».

ახალი ამბავი

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 8 ივნისს, საღამოს 8 საათზე, სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში დანიშნულია საზოგადო საგანგებო კრება **ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.** კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ ჩვენ შევიტყეთ რომ „ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელის საზოგადოების“ გამგე კომიტეტს გადაუწყვეტია იზრუნოს საზოგადოებაში არსებულ **ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებელ ფონდის გაძლიერებისათვის.** ამ საქმის მოწეს-რიგება კომიტეტს მიუნდვია თავის წევრის გ. დ. ყურულისათვის, რომლისთვის განსაკუთრებული ინსტრუქცია დაუდგენია და, სხვათა შორის, ნება მიუცია ფონდის გასაძლიერებლად საშუალებათა მოპოვებისათვის დაეკითხოს სხვა და სხვა მცოდნე პირთ თავის არჩევით. ამის გამო, ვისაც ჰსურს დახმარება აღმოუჩინოს ამ მხრით კომიტეტს, უნდა მიჰმართოს ბ. ყურულს, ხოლო ღარიბ მოსწავლეებმა, რომელთაც დახმარება ეჭირვებათ, თხოვნით პირდაპირ კომიტეტს უნდა მიჰმართონ, როგორც აქამდინ იყო დაწესებული.

◆ გუშინ წინ, 6 ივნისს, სავაჭრო კამერას, ქარხნებისა და სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენლებს (ამათგან იმისთანებს, რომელთაც არა ნაკლებ 100 მუშისა ჰყავს), სულ 12 კაცს ჰქონდა მოლაპარაკება შესახებ **სამუშაო დღის** განსაზღვრისა. კრებამ სასურველად სცნო ამიერ კავკასიაში მუშათა დებულების და ინსპექციის შემოღება. კრების ეს დადგენილება ეცნობება საგუბერნიო ადმინისტრაციას.

◆ **1893-ში მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ** დააარსა ტფილისში სკოლა ორის განყოფილებით ქართველ და სომეხ მოსწავლეებისათვის. ამ ადგილობრივ ენების განყოფილებებში პირველ წელიწადს ასწავლიდნენ ბავშვებს საგნებს სამშობლო ენაზედ. მიუხედავათ ამ საღ და ნამდვილ პედაგოგიურ ნიადაგისა, სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატება 50 60 კაცს,

---

ასეთმა იშვიათმა სიმღერამ იქნება ბევრი გააოცა, მაგრამ საკმაოა გავიხსენოთ ტიროლელების ხალხური სიმღერები, რომელშიაც ჰხატვენ ძაღლის ყეფას, რქის ხმას და სხვ. ცნობილმა ხალხური სიმღერების შემკრებმა ლიუდვიგ კუბამ ბევრი ამისთანა სიმღერა მოასმენინა პრაგის საზოგადოებას 1891 წ. ჩეხების საერო კლუბის დარბაზში. («Артистъ» за 1891 г., №12). თუნდა ავიღოთ ყველასაგან ცნობილი იტალიელების სიმღერა, რომელშიაც ბანი და მოძახილი ზარის რეკას ჰხატავს და კრინი კი მელოდიას ასრულებს: «Din, don, suona vespero ragazze e garson»—რუსულად ნათარგმნია: «Динъ, донъ. товечерній звонъ, во храмъ мы пойдемъ».

სიმღერა „ბროლის ყელსა“ კონცერტში ორნაირად იყო ასრულებული, აასრულა გუნდმა და ორმა მთქმელმა. ჩვენის აზრით, ეს სიმღერა ხოროს თქმაში უფრო დანამდვილებით მოისმის, სანამ უკანასკნელთა აღსრულებაში. ამას ზედ დაუმატეთ ისიც, რომ დუეტის მეხუთე ფარდულში კილო შესამჩნევად არღვევს ქართული სიმღერების წეს-წყობილებასა და ამით სინამდვილეს აშორებულია, 2) ბოლოში რაღაც მუსიკის ფრაზებია ჩამატებული, რომელსაც არავითარი ერთობა არ აქვთ სიმღერასთან. ამის მიხედვით სჩანს, რომ ხალხური სიმღერა კი არ არის აღებული, არამედ თხზულება ქორიძისაა, ისიც ძალიან სუსტად შემუშავებული მუსიკის მხრივ. მივაქცევ ბ. ქორიძის ყურადღებას აგრეთვე ნოტების ორთოგრაფიაზედ...

საზოგადოდ ხოროსაგან სიმღერების დახელოვნებით შესრულებას უფრო მეტს მოველოდით, მაგრამ იმედმა გვიმტყუნა. რასაკვირველია, იყო მიზეზები, რომელნიც ხელს უწყობდნენ ამ გარემოებას; მაგ; 1) სათავად-აზნაურო თეატრის აკუსტიკა შეუძლებლად ჰხდის რაიმე სასიმღეროს დახელოვნებით ასრულებას; თვით მომღერალთა გუნდი ისე მაღლა იწყობდა სიმღერას, რომ ამსრულებელთ ხმა არც-კი შესწევდათ; ამის გამო ბევრი სიმღერა თითქმის ყვირილით გამოდიოდა, რაც, რასაკვირველია, მართებულ შთაბეჭდილებას არ მოახდენდა მსმენლებზე.

რაც შეეხება სიმღერების სინამდვილეს, თუ არ გამოუდგებით იმ აზრს, რომ ქორიძეც ისე უნდა ჰფიქრობდეს, როგორც ჩვენა, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ამ მხრივ კმაყოფილნი ვართ და ვერავითარი ფონოგრაფის ძალით ვერ მოიპოვებთ იმ ალღოს, რის წყალობითაც ვარჩევთ მშობლიურს უცხოსაგან. თუ თქვენს არსებას არ აცხოველებს ის, რასაც თქვენ ყურს უგდებთ, თუ თქვენშიაც არ გამოიწვევს სიმღერა იმ ტანჯვა სიხარულს ხალხისას, რაც გამოიხატება ამ უკანასკნელით, არავითარი წიგნის განსწავლა არ ჩაგაგონებს და არ შეგაგნებინებს იმის სიმშვენიერეს. უშესაბამოა, რომ ვარჯიშობამ და მუშაობამ კაცს მოუტანოს ის ნაპერწკალი, რომელსაც ძველებური ხალხი რაღაც ღმერთების ძალას აწერდნენ. არავითარი ტანჯვის ოფლი არ შესძენს კაცს ჭეშმარიტების დაუშრეტელ წყაროს; იგი თავის თავად ეხატვის ბუნების საყვარელ შვილებს. უამისოდ კი ყველა ფონოგრაფით მომუშავეს ის ფათერაკი სდევს, რაც არა იშვიათია,—ხალხური სიმღერის მაგივრად ჩაამღერინოს ‚шумна марица‘ ქართული სიტყვებით, ან კიდევ სულიკო და კუჭიკოსთანა ჰანგები და სხვა მრავალი.

ამ ნიადაგზედ ბ-ნ ქორიძის მოღვაწეობამ უფრო მიიპყრო ჩვენი ყურადღება. შემდეგშიაც ეს ყურადღება მით იზდება, რამდენადაც გატაცებული და თავ-განწირული იქნება მისი მუშაობა. ჩვენ ძნელად წარმოგვიდგენია იმისთანა ჰკუა-კოწეიანი კაცი, რომელიც თვალ-ყურს არ ადევნებდეს მის მოღვაწეობის გავრცელებას, რადგანაც ამის დასკვნაში უნდა გამოიხატოს და შეერთდეს ყველა ჩვენი მისწრაფების იგივეობა. დეე, თუნდ ცოტა იყოს იმის მოღვაწეობის ნაყოფი, თუნდ ნურც სრულებით მოუკლავს სულიერი წყურვილი, მხოლოდ ამან კი გადაარჩინოს ჩვენი თვით-მსაჯულნი მემუსიკენი ღვარძლიანი ღიმილისაგან და პირუტყვულ თვით-კმაყოფილებისაგან.

მხოლოდ ამისთანა პატიოსნურ თავ-განწირულობის სურვილს შეუძლიან აღგვამაღლოს პატიოსანი კაცის ღირსებამდე.

ი. კარგარეთელი

(დასასრული იქნება)

რა გარემოებაც უმთავრესად აიხსნება სწავლის ფასის სიდიდით (8 მ. თვეში); და თუ ეს სწავლის ფასი არა, მასწავლებელ ქალთა ღარიბ საზოგადოებას სკოლის შენახვა არ შეუძლია. ამიტომ ამ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის სამოსწავლო კომისია ყოველ წლიური შემწეობა 900 მ. სამოსწავლო კომისია თანაგრძნობით მოეკიდა ამ თხოვნას.

◆ როგორც ამას წინად გვქონდა მოყვანილი, საერო განათლების მიერ მიწვეულ კომისიაში აზრად ჰქონდათ შეექმნათ **საშუალო სკოლა** ორის განყოფილებით: კლასიკური განყოფილება, სადაც ლათინურ ენას ასწავლიდნენ, და რეალური, სადაც შემოღებული იქნებოდა «სამშობლოს შესწავლა» და კანონმდებლობის სწავლება. ეხლა კი იტყობინებიან, რომ კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრით, რეალურ განყოფილებაში ლათინურის მაგიერ იქნება შემოღებული მეორე ახალი ენა. სამშობლოს შესწავლას და კანონმდებლობას კი ორსავე განყოფილებაში ასწავლიან. სამშობლოს შესწავლამ უნდა გააცნოს მოსწავლე რუსეთის იმპერიის სტატისტიკას, ეკონომიურ მდგომარეობას და ეთნოგრაფიას; კანონმდებლობა კი შეასწავლის მას, თუ რა არის სამართალი, როგორი სახელმწიფო წეს-წყობილებაა რუსეთში ან სამართლის როგორი წესია. პროფ. ვინოგრადოვის აზრით, უფრო სასარგებლო იქნება სამშობლოს შესწავლის გეოგრაფია ან და კანონმდებლობის ისტორიასთან შეკავშირება. კანონების შესწავლა, რომელმაც შეძლება უნდა მისცეს მოსწავლეს შეგნებულის თვალით უცქიროს სახელმწიფო და საზოგადოებრივ განვითარებას, უნდა იყოს დამყარებული ისტორიაზედ; მან უნდა გააცნოს მოსწავლეს ის დაწესებულებანი, რომლებსაც ისტორია ეხება მაშინ, როცა ისინი იწყებენ არსებობას და განვითარებას. გურევიჩის აზრით-კი, სამშობლოს და კანონების შესწავლა ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იქმნას.

◆ **სამხედრო სექიმო აკადემიაში** მიიღებენ რეალურ გიმნაზიაში კურს დამთავრებულთაც, თუ ესენი ეგზამენს დაიჭერენ ლათინურ ენაშიაც გიმნაზიის პირველ ოთხ კლასის პროგრამის საზღვრებში. („არგონავტი“).

◆ გუშინ, 7 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა რკინის გზის ხელოსნის კოსტ სახურიასა, თ. საგელისა და ოქრ. ჯავახოვის საქმისა; მათ ჰბრალდებათ ის, რომ შარშან ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ მცხეთას ახლო, ხიდის კეთების დროს, მათი გაუფრთხილებლობის გამო, **მუშათა მატარებელი** უეცრად ხიდიდან გადავარდა და თან 8 ვაგონი ჩაიტანა, რომელნიც ლუკმა-ლუკმად დაიმსხვრა, ხოლო მემანქანე და რამდენიმე პირი სასიკვდილოდ დაიჭრა. დაბარებულია 35 მოწმე. დაწვრილებით ამ საქმის გარემოებას ხვალ გავაცნობთ მკითხველებს.

◆ ქვემო მაჩხაანის ქსენონის გამგე **ექ. დასამიძე** დაინიშნა თიონეთის მაზრის ექიმად და თიონეთის მაზრის **ექიმი ჯავახიშვილი**—ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს ექიმად.

◆ საგუბერნიო ადმინისტრაციამ დაამტკიცა თავიანთ თანამდებობაზედ **საქალაქო სკოლების ექიმებად** არჩეულნი ბ.ბ. ქალანთარი და სუნდუკიანცი.

◆ **ს. მუხრანის სკოლის** შენობის გადასაკეთებლად გადადებულია 2000 მ. აქედან 1500 მ. ხაზინისაა და 500 თ. კ. ი. ბაგრატიონ მუხრან ბატონისა.

◆ ზოგიერთი პირები ეკითხებიან კავკასიის გამოფენის კომისარს, თუ რა წესით უნდა იქმნას გამოგზავნილი სხვა-და-სხვა პირებისაგან გამოფენაზე **ექსპონატები**. როგორც გამოფენის წესდებიდან სჩანს, ყველა მეპატრონეებმა თავიანთი ხარჯით უნდა მოიტანონ სხვა-და-სხვა ნივთები გამოფენაზე და აგრეთვე წაიღონ აქედან.

◆ ერევნის ქალაქის გამგეობა იტყობინებს კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს, რომ 500 მანეთის შემწეობას უგზავნის გამოფენის მოსაწყობ თანხის გასაძლიერებლად.

◆ საეპარქიო უწყების დადგენილებით, ქალაქების **სამრევლო სკოლებში** სწავლა გაგრძელდება 9 თვეს და სოფლებში კი—შვიდი.

◆ ვერის **სამრევლო სკოლა**, სადაც ეხლა ქალებიცა და ვაჟებიც სწავლობენ, გადაკეთდება სამრევლო საქალებო სკოლად.

◆ გუშინდელ სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ზაფხულში **გამგეობაში მუშაობა** იწყებოდეს დილის 9 საათიდან და თავდებოდეს ნაშუადღევის 2 საათზე.

◆ დეფიციტის თავიდან ასაცილებლად ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოსპო ხარჯის ზოგიერთი მუხლები, რომელიც შეეხებოდა **საქალაქო ტყის მოშენებას**. ამიტომ ტყის მომშენებელი კომისია თხოულობს ხსენებულ ხარჯების გაღებას, რადგან ეს მეტად საჭიროა საქმის განვითარებისათვის.

გარდა ამისა, ხსენებული კომისია თხოულობს 500 მანეთის შემწეობას ქალაქის სანერგეს გასაუმჯობესებლად მომავალ საიუბილეო გამოფენისათვის.

◆ ოფიციალურის ცნობებით, გასულ წელს ტფილისის გუბერნიაში ყოფილა სულ 264 შემთხვევა **ძალ-დატანებით სიკვდილისა**; ამათგან 164 ყოფილა მკვლელობა, 17 თავის მოკვლა და დანარჩენი კი—უბედური შემთხვევა.

◆ ამავე ცნობების მიხედვით, **სულით ავადმყოფთა** საავადმყოფოში ყოფილა 162 ავადმყოფი; არის კი ადგილი 103-ისათვის. საანგარიშო წელს მომკვდარა 15. საავადმყოფოს შენახვა დამჯდარა 24,362 მანეთი.

უიმედოთ შეშლილთა თავ-შესაფარში ყოფილა 48 კაცი; ადგილი კი 45-ისათვის არის. თავშესაფარის შენახვა დაჯდა 12.315 მ. საავადმყოფოში და თავშესაფარშიაც უკიდურესი სივიწროვეა. ამიტომ ბევრის ბევრ ავადმყოფს უარ ეუბნებიან მიღებაზედ.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრომ დაამტკიცა **ტფილისის ბოტანიკურ ბაღის** გადაკეთების პროექტი. ამ პროექტით, ბაღთან ერთად იქნება დაარსებული—მუზეუმი, ბიბლიოტეკა და განსაკუთრებული ორანჟერეა.

◆ ფოთიდან გვწერენ: «სამშაბათს, 5 ივნისს, საღამოს სამოვიდა ქუთაისის ოლქის **სასამართლოს** სესია, რომელსაც სულ ხუთი საქმე აქვს გასარჩევი. ამ დღეებში აქ მოელიან პეტერბურგიდან **საგანგებო საპორტო კომისიას**, რომელსაც აზრად აქვს შეამოწმოს ფოთის ნავთსადგურის ახალი ნამუშევარი».

◆ ქალაქის ტყეებისა და ბაღების მომშენებელმა კომისიამ განიხილა ბ. ლისიციანის წინადადება შესახებ **ქალაქის სანერგეს** გადატანისა ავჭალაში, სადაც 20 დესეტინამდე მიწა შეიძლება დათმოს მას, და სასურველად სცნო ავჭალაში ახალი სანერგეს დაარსება; ხოლო ქალაქის არსებული სანერგე არ უნდა მოიშალოს, რადგან განზრახვა არის იგი პარკად და სასეირნო ადგილად გადააქციონ

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოგზავნა ექ. კრესტოვნიკოვი და ინჟენ. პეტროვსკი ერევნის გუბერნიაში და ყარსის ოლქში **შავი ჭირის კარანტინის** მოსაწყობად. მათ დასახმარებლად მალე ჩამოვა საინჟინრო ინსტიტუტის უკანასკნელ კურსის რამდენიმე სტუდენტი.

◆ საჩხერიდან გვატყობინებენ, რომ იქ მთელი მაისი სულ მუდამ **წვიმები** ყოფილა, რისგანაც მეტად შეწუხებულია თურმე ნათესი ყანები, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ხანდახან სიცივეები იყო ხოლმე. 12 მაისის წვიმას სეტყვაც მოჰყოლია, უმთავრესად მთა-გორიან ადგილებში; სეტყვას გაუფუჭებია განსაკუთრებით სოფელ მოხვას ვენახები და ნათესი ყანები. სოფ. მერჯევში 17 მაის დასცემია მეხი ქ—ძის ბელელს და ზედ შუაზედ გაუხეთქია, უბედურება არა მომხდარა-რა. სოფელ სავანეში მთის ღელე ზვარა ისე მოდიდებულა, რომ ბევრგან ნათესი ყანები წაულეკია; აგრეთვე ამავე სოფლის მცხოვრებს კ—ძის 14 წლის ბავშვი მოუტაცნია და დაუხრჩვია; გვამი მეორე დღეს ძლივს უპოვნიათ.

◆ ს. ბარისახოდან (თიანეთის მაზრა) გვწერენ: „27 მაისს, ბარისახოს მცხოვრები გ. ლიკოკელი და ს. კიმხაში მცხოვრები ს. არაბული მიდენილან თიანეთიდან თავიანთ სოფელში. გზაზე უპოვნიათ შუშით რაღაც თეთრი წამალი და უფიქრიათ, ეს უთუოდ ციებ-ცხელების წამალი იქნებაო და ნაპოვნი წამალი შუაზე გაუყვიათ“ გ. ლიკოკელის მეზობელი გიგია და მისი ცოლი ხატუტა ქინქარაულები ავათ ყოფილან. გ. ლიკოკელს ეს წამალი დაულევინებია მათთვის და ორივენი მაშინვე გარდაცვლილან. მეორე დღეს გიორგის ჩამოატანინეს ეს წამალი, ძაღლზე სცადეს და მაშინვე მოკვდა. წამალი ტრიხნინი გამოდგა“.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი **სომხური წიგნება** 1) ექ. ვ. არწრუნის „ცოლ-ქმრობა“. 2) სუნდუკიანცის „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“ შეცვლილი და დამატებული. 3) ამავე ავტორის «ღამით ცხვირის დაცემინება ხეირია», ვოდევილი 1 მოქმედებად მეორე გამოცემა, დამატებით.

◆ **ჟურნალ „მოგზაური“-ს რედაქცია** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თიბათვისა და მკათათვის ნომრები (6 და 7) ერთად იბეჭდება და გამოვა ამ თვის ბოლო რიცხვებში.

◆ 6 ივნისს, ღამით, როდესაც მატარებელი №-205 წავიდა პატარა სადგურ 489 ვერსტიდან დალმამეტლისაკენ, გზაზე მატარებელს მოგლეჯოდა 17 ვაგონი, რომელნიც კიუროკჩაისაკენ დაეშვა და კიუროკჩაიდან მომავალ მატარებელ №-207 დაეჯახა; დაიმტვრა 17 ვაგონი და დამტვრეულმა ვაგონებმა გზა გახიდა. მატარებლის მიმოსვლა შესწყდა, სახალხო მატარებელი №-5 გააჩერეს სადგურ გერანში. გზის განთავისუფლება მალე არ ხერხდება და მატარებლებისათვის ახალი შემოსავლელი გზა უნდა გააკეთონ. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

◆ სადგ. ავჭალა. 5 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე ავჭალის სადგურში მოიყვანეს გლეხი არშაკ გოგიევი, რომელიც მე 283 ვერსტზე მატარებელ №-22 იდან გადმოვარდნილა. გოგიევს მარცხენა ხელი მოწყვეტილი აქვს და მარჯვენა ფეხი და თავიც ნატკენი. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავათმყოფოში გაგზავნეს.

პროვინცია

ბათუმი. შემთხვევით ბათუმის ქართულ სკოლის მოსწავლეების გამოცდას დავესწარი და არ შემიძლია, არ გავუზიარო ქართველ მკითხველს ის სიამოვნება, რომელიც მე იქ გამოვცადე. ჯერ თვითონ სკოლის შენობის და ეზოს დანახვა იამება თვალს. არ გვეგონა, თუ ბათუმის ქართველობა მოახერხებდა ასეთ შენობის აგებას, იმიტომ კი არა, რომ მათ შეძლება არ ჰქონდეთ, არა, იმდენი შეძლება ყველგან აქვს ქართველ საზოგადოებას, რომ თავიანთი სკოლებისათვის კარგი სახლები ააშენონ, მაგრამ ჩვენში ერთობ სუსტობს საზოგადოებრივ მოღვაწეობის შეგნება. ბათუმში კი შეუგნიათ იგი და აგი, შედარებით სხვა ჩვენებურ დაწესებულებებთან, სამაგალითოდ მოუწყვიათ თავიანთი სკოლა.

მაგრამ უფრო სამაგალითოა კიდევ ის ნაყოფი, რომელიც ამ სკოლას მოაქვს ქართველებისათვის ბათუმში. სკოლაში ეხლა სწავლობს 180-მდე ქართველი ყმაწვილი, მათ შორის მაჰმადიანი ქართველებიც. ამ უკანასკნელების რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ წლითი-წლობით მეტი მოდის სკოლაში

სწავლის საქმე მშვენივრად არის დაყენებული (მასწავლებლები არიან ს. რამიშვილი და ივ. გოგოლაშვილი). ჩვენ იშვიათად გვინახავს ასე შესაფერისად მომზადებული მოსწავლეები. მთელ კლასმა, შეიძლება, სამი-ოთხი თუ გამოერევა, რომ შესაფერი კურსი არ ჰქონდეს შეთვისებული. ყველა საგნები, განსაკუთრებით ქართული და რუსული, კარგად იციან. მეტად ეხერხებათ ბავშვებს ლექსების კითხვა, როგორც ქართულის, ისე რუსულის.

წელს ამ სკოლიდან ეგზამენს იჭერდა ბათუმის გიმნაზიაში 23 მოწაფე, ამათგან 18 მიიღეს გიმნაზიაში ($2/3$ პირველ კლასში და $1/3$ უფროს მოსამზადებელში) და დანარჩენებსაც მხოლოდ თითო საგანში ჰქონდათ ცუდი ნიშანი. თუ ბათუმის ქართულმა სკოლამ განაგრძო იმავე გზით განვითარება, რა გზასაც ეხლა ადგა, ბათუმის გიმნაზია მარტო მის საშუალებით შეიქნება ჩვენთვის იგივე, რაც ქუთაისის გიმნაზიაა. და ეს ცოტა ღვაწლი არ იქნება.

მხოლოდ საჭიროა ხსენებული სკოლის პირველ დანიშნულებას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. როგორც ვიცით: «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ» დააარსა ეს სკოლა უფრო მაჰმადიან ქართველებისათვის, რათა ვითარებით დაშორებული თანამოძმეები სულიერადაც დაეკავშირებია ქართველ საზოგადოებისათვის. მართალია, ქართველ მაჰმადიან მოსწავლეთა რიცხვი მატულობს და მაყურებელს სიამოვნების და სიხარულის ყრუანტელი უვლის ტანში, როცა ხედავს ჩაქურ ტანისამოსში და ფესით გამოწყობილ პატარა ქართველ მაჰმადიანს ტკბილ ქართულად მოლაპარაკეს და გატაცებით ქართულ ლექსების მკითხველს; მაგრამ ამ სიამოვნებასა და სიხარულს საზღვარი არ ექნება, როცა მათი რიცხვი ნახევარზე მეტი იქნება და ვინც მათგანი სკოლას გაათავებს, სწავლას გიმნაზიებში განაგრძობს. დიდი და ნაყოფიერი შრომა მიუძღვით ამ სკოლის მასწავლებლებს და ამ ნაყოფიერის შრომით საზოგადოების ნდობაც მოუპოვეს სკოლას. მაგრამ თუ ისინი ხსენებულ პირველ მიზანსაც მიაღწევენ, მათი დამსახურება ქართველ საზოგადოების წინაშე გაასკეცდება.

X.

ს. ეწერი (სენაკის მაზრა). ერთი საკვირველი საქმე მოხდა ჩვენში. აქ სცხოვრობს ერთი ღარიბი ქვრივი ნინო გუგუშვილისა. ამ ქალს ჰყავანდა ოჯახში ძაღლი და კატა, ორივე გაცოფდა ამ წლის ექვს იანვარს და გადიკარგნენ. პირველ იანვრიდან შემჩნეოდა ორივეს სიცოფე. ქვრივი უვლიდა მათ, სანამ გადიკარგებოდნენ. სამს თებერვალს ქალმა შეატყო თავს რაღაც უჩვეულო ავადმყოფობა—თავბრუს სხმა და გულის რევა, მაგრამ სიცოფე არ უფიქრია. ცოტა ხნის შემდეგ კი როგორც ცოფიანი, ისე იქცეოდა და ბოლოს დასაჭერათაც გახდა. ხალხი შეიკრიბა ქვრივის ოჯახში, მაგრამ რას გააწყობდა. ქვრივს არ ჰქონდა საშუალება, მიემართა პასტერის სადგურისათვის*). ამ ხელმოკლეობის გამო, სხვა ვერა მოაგვარეს, გარდა იმისა, რომ მოიყვანეს იქვე მეზობლად მყოფი ბ. შარვაშანიძე, რომელიც თურმე ექიმობს ცოფიანებს. შარვაშანიძემ გაუსინჯა ავადმყოფს ენა (ენის ძირის დახედვით ატყობს ცოფიანია თუ არა) და გამოუცხადა მეზობლებს: გაცოფიანებულა, მაგრამ გვიან არის და მე ვერ გავბედავ წამლობასო. ხალხი შეევედრა ბ. შარვაშანიძეს—ეს მაინც კვდება, მაგრამ, ღვთის-გულისათვის, ნუ დაიშურებ წამალს, ვინ იცის, ეგება არგოს რამეო. შარვაშანიძემაც დაუწყო წამლობა და ეს გაცოფიანებული ქალი სრულიად მორჩინა და დღესაც ცხოვრობს კარგად. ურიგო არ იქმნება ექიმები მიაქცევდნენ ყურადღებას ამ ექიმობას და აწონ-დაწონიდნენ მეცნიერულის თვალით. ეს მოვლენა თურმე იშვიათი არ არის. ამნაირადვე წამლობდა ეხლა გარდაცვალებული კოსტა თოფურია და ბევრი მორჩენია. იმისგან აქვს შესწავლილი ბ. შარვაშანიძეს ეს წამლობა.

გრ. ჩაჩავა.

ს. ქარელი. ამას წინად გაუწყეთ მკითხველებს, რომ ქარელში თავ. ციციშვილების საზოგადო კრებას, სხვათა, შორის, უნდა განეხილა კითხვა ექიმის მოწვევის შესახებ. ეხლა სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ კრება სრულის

---

*) ამისთანა შემთხვევებში ადგილობრივი ადმინისტრაცია, მთავარ-მართებლის განკარგულებით, მოვალეა თვით გაგზავნოს საავათმყოფოში. რედ.

თანაგრძნობით მიეგება ამ კითხვას და დაადგინა: მოიწვიონ ექიმი და მისცენ მას ყოველ წლიურ 1200 მანეთი კანტორიდან. მადლობის ღირსნი არიან თავ. ციციშვილები ამ ყველასათვის სასარგებლო დადგენილებისთვის; მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი სცხოვრობენ დამორებით ქალაქებში და, მაშასადამე, არ ექნებათ საშუალება ისარგებლონ ამ ექიმის დახმარებით.

ს. ქარელს, რომელიც ზედ რკინის-გზის სადგურთან მდებარეობს, გარშემო აკრავს ხუთი საზოგადოების სოფელი. თავადებს გარდა, ბევრი შეძლებული აზნაურობა და გლეხობაა და ეჭვი არ არის, რომ ექიმს ყოველ წლიურ ჯამაგირზე ნაკლები შემოსავალი არ ექნება. ამას გარდა, რკინის გზა, ქალაქ გორის და თვით ტფილისის სიახლოვე გააადვილებს ექიმს აქ ცხოვრებას და, იმედი გვაქვს, ჩვენი ექიმები არ შეუშინდებიან ამ გვარ სოფლებში ცხოვრებას. დროა ბოლო მოეღოს მატყუარა «ექიმბაშების» თავისუფალ თარეშობას.

ამგვარ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღად უნდა ჩაითვალოს სკოლაც, როგორც ხალხის განმანათლებელი იარაღი, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი მხარე ძლიერ ჩამორჩენილია. ზოგიერთ სოფლის საზოგადოება თანაგრძნობითაც არ ეგებება სკოლების დაარსებას. მათი ასეთი გულ-გრილობა, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ მათ შვილებს ხშირად უნიშნავენ მასწავლებლად იმისთანა პირებს, რომელთაც ჩვენებური ერთი სიტყვაც არ იციან. მაგ., ქარელში არსებობს სამინისტრო სკოლა, სადაც მასწავლებლად გამოიყვანეს შორეულ რუსეთიდან მასწავლებელი კაცი და ქალი (ცოლ ქმარია), რომელთაც ქართული არა გაეგებათ-რა და ლექსიკონის და თარჯიმანის წყალობით ასწავლიან ბავშვებს.

კეთილის მსურველი.

კიდევ სამღვდელოების საყურადღებოდ

ამ წლის გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე- 1459 №-ში წავიკითხე წერილი ბ-ნის ნ. მერელისა, შემდეგის სათაურით: „სამღვდელოების საყურადღებოდ“. წერილი მეტად გულსაკლავია და ჩამაფიქრებელი ყველა ჩვენი თანამოძმე სამღვდელოებისათვის. საცოდავი მღვდლის ქვრივი, ქმრის სიკვდილის შემდეგ, იქამდის უკიდურეს მდგომარეობაში ვარდება, რომ „საცოდავი ავათმყოფი ბოლოს საბძლის ახლოს მიწვა და იქ იტანჯებოდა“ (ცნ. ფურ. № მე-1459). ვაი ჩვენს სამღვდელოების დაკნინებას და დაძაბუნებას. რაკი ამაზედ მეტი გული არ შეგვტკივა ერმანეთისათვის და ამაზედ მეტი არ შეგვიძლიან ჩვენი თავისთვის ვიზრუნოთ, მაშინ ხომ ყველანი უნდა მოველოდეთ ამ ნაირი დღის მოსწრებას? დრო არის, რომ სამღვდელოებამაც შევიგნოთ და ვიზრუნოთ ამ ნაირი შავი დღისთვის და წინდაწინვე თადარიგს შევუდგეთ. მერწმუნეთ, კაპეიკობითაც რომ გადავსდოთ, კაპეიკი შაური გახდება და ამ ნაირი შავი დღის დროს შაური მანეთის სამსახურს გაუწევს ჩვენ უნუგეშოთ დარჩენილ ქვრივ-ობოლთ. კავკავის ეპარხიაში, სხვათა შორის, ყოვლად სამღვდელო კავკავის და მოზდოკის ეპისკოპოსის ვლადიმირის განკარგულებით, არსებობს ერთი მშვენიერი წესი, რომელსაც აქვე მოვიყვან ზემოხსენებულ სამღვდელოებათა საყურადღებოთ: გარდაიცვლება თუ არა რომელიმე მღვდელი, მაშინვე ეძლევა მღვდლის ქვრივს ეპარქიის სამღვდელოების ემერიტალურ კასიდან რამდენიც ეპარქიაში კრებულია, იმდენი 2 მანეთი. შემდეგ ეპარქიის მთავრობა სწერს ბლაღოჩინებს, ბლაღოჩინები — კრებულთ და ეს უკანასკნელნიც დაუყოვნებლივ აღგენენ ორ-ორ მანეთს კუთვნილებისა მებრ და ავსებენ კასიდან მიცემულ ფულს. ეგევე ხდება, როცა მღვდელს მცირე წლოვანი ან უძლური შვილები დარჩება. კავკავის ეპარქიაში ამ ნაირად მოსდის ხოლმე მღვდლის ქვრივს, 286 მან. და ყველა ობლები იზრდება სახელმწიფო ხარჯით. თუ მთავარ დიაკონი გარდაიცვალა, იმის სახლობასაც ეძლევა კრებულისაგან მანეთი და ათი შაური (1 მან. 50 კ.); თუ მედავითნე გარდაიცვალა, მისს სახლობას ეძლევა ერთი მან. გარდა ამისა, მღვდლის სახლობას ენიშნება შემწეობა საეპარქიო ქვრივ-ობოლთ სამზრუნველოდან, არა ნაკლები თხუთმეტი მანეთისა, თხუთმეტი მანეთიც იმ შემთხვევაში ენიშნება, როცა მღვდელს შვილები მოსწრებული და სამსახურში დარჩება, თუ არა და, რასაკვირველია, მე ი— 30—40 მანეთამდე, სახელმწიფო პენსია კიდევ სხვა არის, უკეთუ დამსახურებული ექმნა გარდაცვალებულ მღვდელს როგორც მკითხველი ხედავს. კავკავის ეპარქიაში გარდაცვალებულ მღვდლის სახლობა, ცოტად თუ ბევრად, უზრუნველ ყოფილია.

ძრიელ სანატრელია, რომ ამ ნაირივე წესები შემოღებული იყოს საქართველოს საეგზარხოსოში, იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებშიაც.

მღ. ნესტორ ბაკურაძე.

საღამოს დეპეშები

7 ივნისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი, 6 ივნისს: მისს იმპერატორებით უდიდებულესობას ღამე კარგათ ეძინა. სიცხე და მაჯა ნორმალური აქვს. ახლად დაბადებული დიდი მთავრინა კარგადაა.

კიევი. კიევის გუბერნიაში ბევრს ადგილას გაზაფხულზე დათესილი ყანები ჩაწვა; ეშინიანთ, რომ ეს გარემოება ცუდს გავლენას იქონიებს ხორბლის რაოდენობასა და ღირსებაზეო. თუ კაი ამინდი იქნება, სამხრეთ მაზრებში პურის მკა ერთი კვირის შემდეგ დაიწყება.

მოსკოვი. 6 ივნისს, «ერმიტაჟის» თეატრში, ოპერა «რიგოლეტტოს» წარმოდგენის დროს ბარიტონი დევოიოდი გარდაიცვალა.

დურბანი. შტეინი და დევეტი ამაოდ ცდილობდნენ სტანდერტონ-გეიდელბერგის გზაზე გადასულიყვნენ. ოფიციალურის ცნობებით, გრეიტოხნის ოლქებში საქონელს შავი ჭირი გაუჩნდა.

კილი. იმპერატორი საღამოთი მოვიდა აქა.

კაპშტადტი. კრუიცინგერის უფროსობის ქვეშ მყოფ ბურების რაზმებს 4 ივნისს ტარკასდატს ახლო პოლკოვნიკ მონროს რაზმი დაეცა; ბურებმა მცირეს ზარალით უკან დაიხიეს.

ბერლინი. გაზეთებს ატყობინებენ ბოხუმიდან, რომ გუშინ, როცა კრონ-პრინცი (გერმანიის მემკვიდრე) მინდენიდან ბონში მიმავალი ბოხუმის ვოკზალზედ მივიდა, ერთმა მთვრალმა რკინის გზის მოსამსახურემ ვაგონის ფანჯარაში ჯოხით კაკუნი დაიწყო, რომელშიაც კრონ-პრინცი იჯდა. ის დააპატიმრეს. დამნაშავემ სთქვა, რომ მას კრონ-პრინცის ნახვა უნდოდა.

პარიზი. ბელფორიდან გვატყობინებენ, რომ გუშინ ელზასკის ბელხენის მთაზედ თოვლი მოვიდა. პონტარლიეში, საფრანგეთის და შვეიცარიის სამზღვარზედ, ასტყდა თოვლის ქარ-ბუქი. შამბერიდან იტყობინებიან, რომ სავოის დეპარტამენტის მთები სულ მთლად დაფარულია თოვლით. უცხოეთის სამხედრო წარმომადგენელთ, მათ შორის გერმანიისამაც, სამხედრო სკოლა სენ-სირში დაათვალიერეს. სკოლის უფროსმა იმათ პატივსაცემლად საუზმე გამართა. საუზმეზე იტალიის წარმომადგენელმა მიულოცა უფროსს და სთქვა, რომ იმის შეგირდები მშვენივრად არიან გაწვრთნილნი.

ლონდონი. გუშინ, საღამოს, კვენსაზდლში, კრება მოხდა. კრებაზე კაპის ახალშენის მინისტრად ნამყოფმა მერიმანმა და ზაუერმა სიტყვები წარმოსთქვეს. თავმჯდომარედ ლაბუშერი იყო; პარლამენტის კრებას სხვა წევრებიც დაესწრნენ. ყოველი ღონისძიება იყო მიღებული, რომ წესიერება არავის დაერღვია. კრებამ დიდის აღტაცებით დაადგინა რეზოლიუცია, რომლითაც დაგმობილია მთავრობის პოლიტიკა სამხრეთ-აფრიკაში, მეტადრე დაგმობილი იყო სასტიკი მოპყრობა დედაკაცებსა და ბავშვებთან. დასასრულ რეზოლიუცია წინადადებას აძლევს მთავრობას, რომ ბურებს სრული დამოკიდებულობა მიანიჭოს.

ათინა. აქ უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მას შემდეგ, რაც ამას წინად გამოცხადდა სახელმწიფოთა ნოტა, ბატონიშვილი გიორგი სამი წლის ვადით კვლავ იკისრებს თავის მინდობილებათა კრიტის შესახებ.

პეტერბურგი. შესახებ იმ საკითხისა, მართლ-მადიდებელთ შეუძლიანთ თუ არა მონაწილეობა მიიღონ რომის-კათოლიკე ეკლესიათა აშენების ხარჯში, უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ შეუძლებელია, მართლ-მადიდებელთ მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებულ ხარჯში.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭყონია.	ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 5 ივნისს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,50
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	$373^1/_2$ მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$301^1/_2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	220 „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	$89^1/_4$ გამყიდვ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$91^1/_4$ გაყიდ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი. 5% გირავნ. ფურცლ	92 „
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო —გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო— გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა ვორონცოვის ქუჩა, სახლის ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

ბავშვების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

გამოვიდა დიდი სურათი

პატარა კახი

(მეფე ირაკლი მეორე ახალგაზრდობაში.)

ჟურნალ „მოგზაურის“ ხელის მომწერლებს, რომელთაც ხუთი მანეთი სრულად აქვთ შემოტანილი, ან ვინც ამას იქით შემოიტანს, სურათი გაეგზავნება აბაზიანის მარკის გამოგზავნის შემდეგ გზის ხარჯად. არა ხელის მომწერთათვის სურათი ღირს გაგზავნით **1** მან. **20** კაპ. ვინც ათს ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20%. ტფილისში ხელის მოწერა ანუ ყიდვა შეიძლება ქართულ წიგნების მაღაზიებში და დავით გაბრუაშვილის საპარიკმახეროში (გოლოვინის პროსპექტზე, „პურ-ღვინოს“ გვერდით), აქვე შეიძლება ნახვა რედაქტორისა დილის 10 საათიდან 12-მდის.

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში**: შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „დამონებულნი“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 7 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.